ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს თავმჯდომარის სახელი, გვარი ვაან არიან

თანამდებობის დასახელება საკრებულოს თავმჯდომარე

ფრაქციის დასახელება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

კომისი(ებ)ის დასახელება

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - პროპორციული

საანგარიშო პერიოდი - 2024 წლის 01 ნოემბრიდან 2025 წლის 01 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა
სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 11

საკრებულოს სხდომაზე დასწრება 11

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა ____

მ/შ დროებითი კომისიების ------- კომისიის სხდომებზე დასწრება

მ/შ დროებით კომისიებში --------

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა 8

ფრაქციის სხდომებზე დასწრება 8

4. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ინიციირებული საკითხები:

---

5. ინიციირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება ___, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ___ განკარგულება

6. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

1. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

2. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება;

3. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მოსახლეობის 2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების პროგრამისა და დახმარების გაცემის წესის დამტკიცება;

4. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა:

5. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 3 (სამი) თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება.

6. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 6 (ექვსი) თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება.

7. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 9 (ცხრა) თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება.

8. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის შორის 2025 წლის 01 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების დამტკიცება;

9. მდგრადი განვითარების მიზნების ნინოწმინდის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცება;

10. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცება;

---------- ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა. ამგვარი საკითხი არ ყოფილა

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 270

და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 9700

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

- წყალსადენი სისტემის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საკითხები;
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა გზების მოხრეშვასთან და მოასფალტებასთან დაკავშირებული საკითხები;
- სოფლებში პირუტყვისათვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები;
- გარე განათების მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები;

- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სპორტული მოედნის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები;
- სოფლებში საბავშვო ბაღების კეთილმოწყობასთან დაკავშირებული საკითხები;
- ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხები;
- რიტუალების სახლების, კულტურული ობიექტების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საკითხები;
- სანიარღვე არხების მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები;
- სოფლების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები).

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ხელმძღვანელობა, საკრებულოს თანამდებობის პირები, საკრებულოს თითოეული წევრი აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მე ვთვლი, რომ განვლილ პერიოდში საკრებულოს საქმიანობა იყო ნაყოფიერი, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გამომდინარეობდა იმ პრობლემებიდან და საკითხებიდან, რომლებიც აწუხებს ჩვენს ამომრჩეველს. რიგ საკითხებზე, რომელიც საკრებულოს სხდომებზე განიხილებოდა იყო ცხარე კამათი, პრობლემების გადაჭრისათვის მიდგომის განსხვავებული პოზიციები.

საკრებულოს კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებულ საქმიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კომისიების კარგად ორგანიზებული და ეფექტური მუშაობა. აუცილებელია, რომ საკრებულოში არსებული ხუთი კომისია ყოველთვის პრინციპულად უდგებოდეს საკრებულოს მიერ მისაღები დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტების წინასწარ განხილვას და მათში შესაბამისი კორექტირების შეტანას. საკრებულოში ფუნქციონირებს 1 (ერთი) ფრაქცია.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ყველა კონკრეტული საკითხი განვიხილე, როგორც დამოუკიდებლად ასევე საერთო ჭრილში. საკრებულოს თავმჯდომარის კომპეტენციის ფარგლებში ყველა მოქალაქეს, პრობლემის შესაბამისად გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია, როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი ფორმით. მოქალაქეებთან აქტიური შეხვედრები გვაძლევს საშუალებას ვიცოდეთ მოქალაქეების რეალური პრობლემები, ხელი შევუწყოთ მათზე დროულ

რეაგირებას და ნაყოფიერად ვიმუშაოთ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის აქტუალური პრობლემების გადაჭრელად.

9. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

შევსების თარიღი 23.10.2025 წ.

წარდგენის თარიღი 24.10.2025 წ.

ხელის მოწერა ----------